09.12.13.

10 დეკემბერს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი უსახლკარო მოქალაქეებს მოინახულებს

10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წარმომადგენლები რკინიგზის ყოფილ საავადმყოფოში შესახლებულ უსახლკარო ოჯახებს მოინახულებენ. უსახლკარო მოქალაქეებს ადგილზე იურიდიულ კონსულტაციებს გაუწევენ თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციის, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტები.

ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს ჭერქვეშ 55-მდე უსახლკარო ოჯახი ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი საზოგადოების მოწყვლადი ფენების წარმომადგენლები არიან: შშმ პირები, მრავალშვილიანი ან მარტოხელა დედები, დევნილები და ა.შ.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა უსახლკარო მოქალაქეებისთვის მოამზადა საინფორმაციო მეგზური - „უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროცედურები“, რომელიც ბენეფიციარებს ადგილზე დაურიგდებათ.

პროექტს - „უფასო იურიდიული დახმარება საქართველოს ღარიბი მოქალაქეებისთვის“ ახორციელებს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები - „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და ადამიანის უფლებათა ცენტრი.

პროექტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ თავშესაფრის არქონა და მიუსაფრობა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა, რაც დღეისათვის სოციალურად დაუცველ, ღარიბ მოქალაქეებს აწუხებთ. ცალსახად გამოკვეთილია საჭიროება, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს თანხები ქვეყანაში თავშესაფრების მოსაწყობად ან ასაშენებლად.

პროექტი ხორციელდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის - „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის“ პროგრამის მხარდაჭერით. პროექტი დაფინანსებულია, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის შესახებ

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები არიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი; წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; კავშირი საფარი; ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია; მედიის ინსტიტუტი.

მისამართი: საქართველო, თბილისი 0160 მელიტონ ქანთარიას 11ა. ტელ.: (+995 790) 76 06 90, (+995 322) 30 77 66;
ელ–ფოსტა: tbilisi@humanrightshouse.org, ვებ–გვერდი: www.HumanRightsHouse.org
Address: 11a Meliton Kantaria st. 0160 Tbilisi, Georgia. Tel.: (+995 790) 76 06 90, (+995 322) 30 77 66;
E-mail: tbilisi@humanrightshouse.org, Web: www.HumanRightsHouse.org

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები არ ასრულებენ კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, თავშესაფრით უზრუნველყონ უსახლკარო მოქალაქეები, რომლებიც თავის მხრივ, იძულებულნი არიან თვითნებურად დაიკავონ სხვადასხვა შენობები. მსგავსი ქმედებები იწვევს კონფლიქტს მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის, რაც უმეტესწილად, რეპრესიული ზომების გატარებით მთავრდება (გამოსახლება, ჯარიმის დაკისრება და ა.შ.).

რკინიგზის ყოფილ საავადმყოფოში შესახლებული უსახლკარო მოქალაქეებიც დღითიდღე ელიან, როდის გამოასახლებს სახელმწიფო დაკავებული ფართებიდან. მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზის ყოფილი საავადმყოფოს შენობას კერძო მესაკუთრე არ ჰყავს და სახელმწიფოს საკუთრებაშია, ხელისუფლება უსახლკარო მოქალაქეებს მხოლოდ გამოსახლებით ემუქრება და ალტერნატიულ ფართს არ სთავაზობს.

ყოფილ რკინიგზის საავადმყოფოში ამჟამად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია. შენობას არ მიეწოდება ბუნებრივი აირი, რამდენიმე ოჯახს არა აქვს ელექტროენერგია. გასული წლისგან განსხვავებით, შენობაში თავშეფარებული უსახლკაროები წელს თბილისის მერიამ შეშით არ მოამარაგა. ზამთრის სიცივეში განსაკუთრებით უჭირთ მოხუცებს, მცირეწლოვნებსა და შშმ პირებს.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი

პროექტი ხორციელდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის - „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის“ პროგრამის მხარდაჭერით. პროექტი დაფინანსებულია, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის შესახებ

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები არიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი; წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; კავშირი საფარი; ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია; მედიის ინსტიტუტი.

მისამართი: საქართველო, თბილისი 0160 მელიტონ ქანთარიას 11ა. ტელ.: (+995 790) 76 06 90, (+995 322) 30 77 66;
ელ–ფოსტა: tbilisi@humanrightshouse.org, ვებ–გვერდი: www.HumanRightsHouse.org
Address: 11a Meliton Kantaria st. 0160 Tbilisi, Georgia. Tel.: (+995 790) 76 06 90, (+995 322) 30 77 66;
E-mail: tbilisi@humanrightshouse.org, Web: www.HumanRightsHouse.org